№ 37

პარასკევი, 20 თებერვალი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 37

პარასკევი, 20 თებერვალი, 1898 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 8 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 9 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. შ. კარაშეტიანცი**. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო**. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. ბუდინოვი**. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(წ)

ტფილისი, 19 თებერვალი

ტფილისის სასულიერო სემინარიაში რამდენიმე მოწაფე იზრდება სახელმწიფო ხარჯით, რამდენიმე იმ ფულით, რომელიც შემოუწირავთ ზოგიერთს პირს და დაწესებულებას და სტიპენდიად დაუნიშნავთ, ზოგსაც ერთხანად ეძლევათ 40—45 მანეთამდე შესაწევრად. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს შემწეობა ღარიბებისა და შეუძლებელთა დედ-მამის შვილებისათვის არის დაწესებული.

ხოლო ხშირად გაგვიგონია და დღესაც ისმის სამდურავი, რომ ვითომ ზოგჯერ მართალნი ღარიბნი წრის გარედ ჰრჩებიან და უფრო მდიდარ დედ-მამის შვილებს ჰრგებიათ შემწეობა იმა და ამა სახითა. თუ ეს სამდურავი მართალია, ვის უნდა დაედოს ამისი ბრალი? ეს ბრალი მით უფრო მოსაკითხია და განსაკითხი, რომ აქ უნდა მართალი ვისგანმე განგებ იმალებოდეს და ამით მადლი შემწეობისა ცუდდება, უქმდება, რადგანაც იმაზე იხარჯება, ვინც თვითონაც შემძლებელია, და ჭეშმარიტი ღარიბი-კი უნუგეშოდ ჰრჩება. იგი, ვინც ამისი მიზეზია, არამც თუ ჰლალატობს მადლსა, რომელიც თავისს თავადაც ცოდვაა, არამედ კარს უხშობს უნუგეშო ღარიბს სწავლითა და ცოდნით კაცად გახდეს და ამით ადამიანის სულს ჰლუპავს სააქაოდაც და საიქიოდაც. ეს ადამიანის სულის კვლაა, რომელიც ხორცის კვლაზე უარესია.

სახელმწიფო ხარჯით მიღების საქმეს განაგებს გამგეობა სემინარიისა, რომელსაც არავითარი ანგარიში არა აქვს მდიდარს მიუწყას ის, რასაც ღარიბს ართმევს. თუ ცოდვა-მადლი ჰტრიალებს ამ საქმეში, გამგეობა სემინარიისა აქ არაფერს შუაშია. ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ იგი, ვიდრე მოწაფეს რომელსამე გვარს შემწეობას აუჩენდეს, ჯერ მოიკითხავს ხოლმე, მთხოვნელთა შორის ვინ არის ღარიბი, რომ შემწეობა მართალ გაჭირებულს აკუთვნოს. საიდამ უნდა შეიტყოს გამგეობამ ამისი თუ იმისი სიღარიბე? რასაკვირველია, იმათგან, ვინც უფრო ახლონი არიან ამის შესატყობლად, ვინც ზედმიწევნით შემძლებელნი არიან იცოდნენ და იციან კიდეც, მისის ხელქვეით სამღვდელოთა შორის ვინ არის შემძლებელი და ვინ არა. ამისთანანი არიან ადგილის ბლაღოჩინები.

სემინარიის გამგეობას სწორედ ეს გზა ამოურჩევია მართლის საცოდნელად. გამგეობას წესად მიღებული აქვს, რომ, მიიღებს თუ არა მოწაფისაგან თხოვნას შემწეობისას, მიჰმართავს ხოლმე ადგილის ბლაღოჩინს, რომლის სამწყოში მოწაფის დედ-მამაა, დ სთხოვს რაც შეიძლება დაუყოვნებლივ აუწყოს გამგეობას ყოველივე ვითარება მთხოვნელის დედ-მამისა, რის მქონებელნი არიან პატრონები, რა შემოსავალი აქვთ, რა შეძლება და ღონისძიება და მართლა ისე გაჭირებულნი არიან, რომ, თუ არ სახელმწიფო ხარჯით, ან სხვა გვარ შემწეობით, ვერ გაზდიან შვილებს სემინარიაში.

რადგანაც სემინარიაში სახელმწიფო ხარჯით, თუ სხვა რაიმე შემწეობით გასაზდელთა რიცხვი განსაზღრულია და ამ სახით მეტის მიღება შეუძლებელია, გამგეობა სემინარიისა აფთხილებს ხოლმე ბლაღოჩინს, რომ თქვენს მოწმობაზე იქნება დამოკიდებული სახელმწიფო ხარჯით მთხოვნელის მიღება და თუ მართალი არ გვაცნობეთ და აქედამ უსამართლობა რამ მოხდა, თქვენა და თქვენმა სინიდისმა გასცეს პასუხი.

ამაზე მეტის თქმა, ამაზე მეტი გაფთხილება სასულიერო წოდების კაცისათვის, სხვა რა უნდა იყოს? და თუ ეხლა მაინც სამდურავი ისმის, რომ ზოგჯერ მართალი ღარიბი მოკლებულია შემწეობას და უფრო მდიდარი კი იკვებება სემინარიაში სხვის ხარჯით, ვინ არის ამაში დამნაშავე? რათქმა უნდა, ბლაღოჩინი და მისი უმართლო მოწმობა. თუ სამდურავი მართალია, განა არ უნდა გვიკვირდეს, რომ სასულიერო წოდების კაცმა, რიგორიც ბლაღოჩინია, ასე დაიმძიმოს სინიდისი და პასუხის-გება თუ არ კაცის წინაშე, ღვთისა წინაშე ხომ!..

რა ჰქმნას აქ სემინარიის გამგეობამ, თუ ბლაღოჩინსაც არ დაუჯერებს და რა ჰქმნას ღარიბმა, თუ იგივ ბლაღოჩინი აგრე ამრუდებს სასწორს მადლისას და მართლისას!.. ამისთანა საქმეში, საცა განკითხვაა ღარიბისა, საცა ბედ-ბედია მოზარდისა, რომელსაც სწყურიან სწავლა-ცოდნით კაცად გახდომა და ამისი ილაჯი არა აქვს, ნუ თუ მიუტევებელი ცოდვა არ არის აქ, ამისთანა საქმეში სასწორის გაპრუდება, მერე ვისგან? სასულიერო წოდების კაცისაგან, ბლაღოჩინისაგან!..

ჩვენში ერთობ არაფრად მიაჩნიათ მდიდარს, ანუ საკმაოდ შეძლებულს სიღარიბის და სიღატაკის მოწმობის მიცემა, მე ხომ არას მართმევენ, რა მენაღვლება სხვას გამოსცინცლოსო. ის კი არ იციან, რომ რამოდენად მდიდარს ანუ შემძლებელს ამ მოწმობით მიეცემა რამ, იმოდენად

---

# ფელეტონი

## სვეტი-ცხოვლის ტაძარი

(დასასრული *)

საკათალიკოსო კათედრის გვერდზედ ასაფლავია მეფე ვახტანგ გორგასლანი, რომელსაც მარმარილოს დიდი ლოდი აძევს ზევიდგან. როგორც ამბობენ, საქართველოს ყველა მეფეები, მირიან მეფიდგან მოკიდებული, სვეტი-ცხოველში ასაფლავიან, მაგრამ ტაძრის მუდამ აკლებამ მტერთაგან და ამის გამო იატაკის ნიადაგ გამოცვლამ და თითონ ტაძრის გადაშენებამ და გადაკეთებამ მიგვიფარა შესანიშნავი საფლავები. რამდენი მეფე შესდგა ბერად და ატარებდა ლოცვაში თავისს სიცოცხლეს სვეტი-ცხოველში და სვეტი-ცხოველთან, მაგრამ იმათი საფლავები ყოვლის შემმუსვრელსა და დავიწყებაში მიმცემელს დროს უკვე თვალისათვის უჩინო უქმნია.

საკათოლიკოზო კათედრის და სამეფო ტახტის შუა მარმარილოს ქვაა შემდეგის წარწერით მხედრულად: „ქ. ვინაიდგან: პირველის: მის: დიდისა: ურჩებით: მცნების: გარდასვლამან: განარისხა: შემოქმედი: ყოველთა: და: უბრძანა: მიწად: მიქცევა: მეთა: ადამისათა: მერედგანა: აუფლა: სიკვდილი: კაცთა: ზედა: და: არავინ: არს: რომელმანცა: არ: მიიღოს: სასმელი: ესე: და: აწ: ჩვენზედაც: მოიწია: თანამდები: იგი: მიღებად: კასხმულისა: (?) თავისა: და: განვედი: საწუთროსა: ამისა: დიდებისაგან: მეცხრე: მეფისა: მისა: სვიმონისა: და სძალი: ხმობილი: მადლით: მეფეთა: არაგვის: ერისთავის: ბარძიმის: ასული: გუქა: ქორონიკონსა ში (405)[1].

საკათალიკოზო კათედრის წინ გრძელი მარმარილოს ქვაა ხუცური წარწერით: „ასული: დადიანისა: დედოფალი: საქართველოისა: მარიამ: დამამკვიდრე: მცირესა: ამას: საფლავსა: მხილველნი: შენდობას: გვიბრძანებდეთ: ღვთის გულისათვის“: (დანარჩენი ასოები არა სჩანან, რომ ჭეშმარიტი აზრი გამოვიდეს). ეს მარიამა როსტომ მეფის მეუღლეა, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ამ ტაძარს.

მარიამ დედოფლის საფლავის ქვის გვერდზედ არის სპილენძის ფერი ქვა ასეთის წარწერით: „ქ. მას: ჟამსა: ოდეს: ჩვენ: ზღვათა: მეფის: დადიანის: ასული: დედოფალი: პატრონი: მარიამ: მოუკანებულ: ვიქმენ ქართლისა დედოფლად; გვეყვა: საყვარელი: მე: ბატონიშვილი: ოტა: მცირესა: ჟამსა: მიგვეფარა: ამიერ: სოფლით: და: დავმარხე: სამარხსა: ამას: სვეტსა: ცხოველსა. და საფლავიცა: ჩვენი: ამასთან: ვინებეთ: ღვთის: გულისათვის: ნურავინ: ხელ-ყოფთ: შლად: და: შერყევად: ამისა უკუნისამდე. ესე არს განსვენებული ჩვენი, ქორონიკონსა „ტლდ (334)“.

შემდეგ მისდევს შავი ქვა, რომლის ქვეშაც განისვენებს გვამი მეფე ერეკლის ძის სულთანის ასულის თამარისა. ამ საფლავის იქით თეთრს მარმარილოს ქვას შემდეგი წარწერა აქვს: „საფლავსა ამას შინა მდებარე არს საქართველოს მეფის ძისა ძე კათალიკოზი ანტონი, მცხეთისა და ყოვლისა საქართველოისა და ჩლენი უწმიდესისა სინოდისა, რომელმანცა შეამკო ეკლესია საქართველოსა სრულითა ტიბიკონითა და საეკლესიო ცერემონიითა. განაშვენა ენა ქართველთა კითხვითა მჭევრ-მეტყველებითა, და გრამატიკითა და წიგნი საფილოსოფოსნი და საღმრთოს-მეტყველნი. რაოდენიმე თვით ჰქმნა და რაოდენიმე გარდმოიღო სხვა-და-სხვა ენათაგან ქართველთა ენასაზედა და ესე ვითარითა შრომითა დიდითა განმაშვენებელი ქართულისა ენისა და ეკლესიათა მიიცვალა საგლოველად დიდად საზოგადოებისად წელსა ჩღპჱ-სა (1788)თვესა მარტსა ა-სა“ (1). ამ საფლავის ქვას ლექსიცა აქვს ზედ დაწერილი:

„ქართველთ ერთ ექმნა, მეორედ ოქროპირად,
პავლედ მქუხარედ, უმეცარი განმაპირად,
გრიგორად მღაღადად, მგმობთა განმანაპირად,
ჩვენდა რა იყო, ქრისტესაგან დანაპირად,
დაუტევა სამწყსო, ღთისადმი შენაპირად“.

ანტონ კათალიკოსის საფლავის ახლო სძევს თეთრი მარმარილოს ქვა ხუცურის წარწერით: „საქართველოს მეფეთ: მეფის: კახტანგის: მეუღლე: და იმერთა და კახთა მღვთისა რჩეულისა და ქართლის მეფეთ მეფისა, ქირმანისა, ზირაშგისა, ცისა და ლათის მპყრობელისა. სრულიად სპარსეთის სპასალარის მეფის ძისა და ერანის მდივან ბეგის ლევანისა და ძმათა მათთა დედა და ორხელის მის უაფლანის ასული დედოფალი როდამ ყოფილი ცქმოსანი ეკატერინე აქა მდებარე ვიქმენ მკვიდრსა ამას საფლავსა ჩვენსა, მხილველნი შენდობას გვიბრძანებდეთ ღვთის გულისათვის. რამეთუ ესე არს განსვენებული ჩემი, ამას დავემკვიდრე ქრისტეს აქეთ (წელიწადის რიცხვში სჩანან მარტო ასონი: ჩ, ო და თ, ჩ-ს შემდეგ ხუცური ფ უნდა იყოს და მაშინ მივიღებთ, თუ ასეა სწორედ, შემდეგს რიცხვს წლისას: „1579“). ქორონიკონსა ტოთ. სვეტო ცხოველო მფარველ ექმენ მის მეთა ჩემთა ყოველთა“.

ამ საფლავს იქით არის მარმარილოს ქვა უბრალო ქვაში ჩასმული და ზედ წარწერა აქვს შემდეგის შინაარსისა: „აღმაგე ⁰ მაგებან ⁰ რომლისაგანაცა ⁰ ყოველი ქმნა სხეულთა ყოველთა მოგზაურობითა კავშირთათა მოიხელოვნა და ყოვლთასა ყოვლითურთ შეერთებულად და შეზავებულად ვითარცა ერთად და სხვად მათგან ქმნილად სხეულად დაუდლითი ორთა რომელობათაგან და წინაღმდგომთა ურთიერთას ორთაგან და წინააღმდგომ შემხვეწელობითა ურთიერთარს საშუალითა ვინათამე თვით თავისა შორის თვისსა მყოფად და ესრეთ აცხოვლა ქცევადობისა ქვემდებარობ თ და ერთისა უკვე აღმატებითა მეოხისა მხედარ ერთობისა ქვეშეთობითა მარხობელთა თან დაგებულთა განუჯდგლა ებრძანა წყევისა სამიერონი კდემის შინანი, რამეთუ რომლისაგანცა ამას დაბედვე გარდაქმნა არს ოხშანი ყოვლისა საზარცმოსა სიკვდილი, რომელ განსაზღვრეს მეუწყეთა მეცნთა მებრძნთა... სიკვდილი არს ხრწნილება ხორცთა და ამან ესეთმან მიწდია მეცა და მივეც კალი სიკვდილისა და შევემინე მამათა ჩემთა ასული ნეტარხსენებულის მეფის კახტანგის, თანა მეცხრე ცხებულის მეფის თეიმურაზისა, დედა კახთა მეფისა ირაკლისა, დედოფალი თამარ. შენდობისა მქონე ვარ სახსენოსა ჩემისა მნახსთაგან და ჟამი აქათგან მენაობობისა ჩემისა აპრილის 12 დღესა შაბათისა ჟამსა გ ქრისტეს აქეთ 1746[2]“.

მეფე ერეკლე დიდის საფლავს შემდეგი წარწერა აქვს რუსულს ენაზედ: „**აქ განისვენებს მეფე ერეკლე, დაბადებული 1716 წელსა, რომელიცა ავიდა კახეთის ტახტზედ 1744-სა, ქართლისაზედ-კი —1762-სა და გარდაიცვალა 1798-სა წელსა. რათა ახსოვდეს შთამომავლობას ეს მეფე, რომელმაც 54 წელიწადი დიდებით იმეფა, მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის ალექსანდრე პირველის სახელით მთავარ სარდალმა საქართველოსამან მარკიზ პაულუჩიმა აღვაშენე ძეგლი ესე 1812 წელსა**“.

*) იხილე „ივერია“ № 36.

[1]) ქართველები წელთ აღსარიცხველად ჰხმარობდნენ ინდიქტიონს და ქორონიკონს. ინდიქტიონი შეადგენდა 532 (ფლბ) წელს. ხოლო ყოველი წელი 1—532 შუა იწოდება ქორონიკონებად. ქვეყნის შექმნიდგან ქრისტეს დაბადებამდე ქართველები ანგარიშობდნენ 5604 წელსა, ბერძნულად-კი 5508 წელს გაუვლია ქვეყნის შექმნიდგან ქრისტეს დაბადებამდის. გამოვიანგარიშოთ ქორონიკონი 1888 წლისა. ავიღოთ 5604 წელი, შევუერთოთ 1888 წელი, მივიღებთ 7492 წელიწადს, გავყოთ ეს რიცხვი 532, მივიღებთ 14-ჯერ და დაგვრჩება 44 წელი, რომელსაც ეთქმის 1888 წლის ქორონიკონი (თ. ჟორდანია).

[2]) სამეფო გვარეულობის საფლავის ქვეშ სამეფო ღირსების აღმნიშვნელი ნიშნები აქვთ ზედ გამოყვანილი: გვირგვინი, ხმალი, სკიპტრა, ლომები, ჯვარი, კვართი და სხვანი.

აკლდება ჭეშმარიტს ღარიბს, იმოდენად ჭეშმარიტი ღარიბი უნუგეშოდ და უმწეოდ ჰრჩება. აქაც მდიდარი, თუ შეძლებული ღარიბისაგან იღებს ლუკმას, ღარიბის ხვედრს თითონ იჩემებს. განა ამას ცოდვა, დანაშაულობა არა ჰქვიან. იმას აღარ ვამბობთ, რა დიდი და სამარცხვინო გაუპატიურებაა საკუთარის ღირსების გრძნობისა, როცა მდიდარი, ანუ შეძლებული ტყუილის მოწმობით მიადგება ხოლმე სხვის კარს —გამიკითხე ღარიბ-ღატაკიო. არც უმართლო მოწმობის მიცემა, არც ამ ნაირის მოწმობის აღება არავის ჩვენში სირცხვილად და დანაშაულად არ მიაჩნია.

რა თქმა უნდა, რომ მოსახერხებელი იყოს ზოგჯერ მოწმობის ავი და კარგი ადგილასვე გამოძიებულ იქმნას სანდო და საკუთრად ამისათვის გაგზავნილ კაცისაგან, ბევრს წაართმევდა ხალისს ტყუილ მოწმობის წერისას, ბევრს შეუკრავდა მადას, ბევრს გააფთხილებდა იგი შიში პასუხისგებისა, რომელიც თანა სდევს ყოველ ოფიციალურად მოხსენებულ ტყუილსა. არა ნაკლებ უშველის ამ შემთხვევაში საქმეს ისიც, რომ თვით საზოგადოებას, ადგილის კაცებს მიეცეთ ღონის-ძიება თვალყური ადევნონ, ვინ არის მიღებული სემინარიაში სახელმწიფო ხარჯით, ვითარცა შეუძლებელი და ღარიბი. არა გვგონია საზოგადოებაში არ მოიპოვებოდეს იმისთანა კაცი, რომ საცა ჯერ არს ხმა არ მიაწვდინოს, თუ რაიმე უსამართლობა დაინახა. ესეც ერთი სახსარია მართლის აღდგენისა, მტყუანის გამტყუნებისა და იმათ გაფრთხილებისა, ვინც დღეს სასწორს ამრუდებს თავისის მოწმობითა.

რომ ამ გზით საქმეს ეშველოს რამე, ჩვენა ვთხოვეთ მამა რექტორს სემინარიისას გამოგვაცხადებინოს სია იმ მოწაფეთა, რომელნიც ბლაღოჩინების მოწმობით ღარიბად ცნობილნი არიან და სახელმწიფო თუ სხვა ხარჯით მიღებულნი. მამა რექტორმა, რომელიც ჩვენზე მეტად მოწადინებულია, რომ ამ საქმეს ნათელი მოეფინოს და საზოგადოების განკითხვის ქვეშ დაყენებულ იქმნას, სიამოვნებით აგვისრულა თხოვნა და სია მოგვაწოდა. ამ სიას დღესა ვბეჭდავთ და ამ სახით საზოგადოებას ღონისძიება ეძლევა თავისის ზედამხედაობის ქვეშ იქონიოს ღარიბთა მოწაფეთა მიღების საქმე სახელმწიფო ხარჯით ტფილისის სემინარიაში. ასეა თუ ისე, მზეზე გამოფენა საქმისა ყოველთვის მარგებელია.

---

## მთავრობის განკარგულებანი

დამტკიცებულ იქმნა ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა არჩევანის თანახმად თავადი იოსებ შალიკაშვილი—სიღნაღის მაზრის წინამძღოლად.

გამწესებულ იქმნა აზნაური კონს. ტანტინე თულაშვილი—ტფილისის გუბერნიის გამგეობის კანცელარიის მოხელედ.

---

# ახალი ამბავი

⁂ დღეს, 20 თებერვალს, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია კრება გამგეობისა და საბჭოს კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს საქმე ქალაქის სახლების მართვა-გამგეობისა. კრებას დაესწრება ტფილისის პოლიცმეისტერი ბ-ნი მასტიცკი. სხვათა შორის კრება განიხილავს გამგეობის მოხსენებას შესახებ იმისა, რომ აგებულ იყოს სახლი და ამ სახლში მოთავსდეს ცეცხლის მქრობელი რაზმი, პოლიცმეისტერის მმართველობა, და ქალაქის სხვა დაწესებულებანი, ქალაქის გამგეობის გარდა. ეს შენობა 140,000 მანათად დაჯდება.

⁂ სამოსწავლო კომისიის თხოვნით ქალაქის გამგეობა ჰგზავნის პეტერბურგში ტფილისის მიხეილის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს ბ-ნ ვ. დანილოვს, რომელიც უნდა დაესწროს იქ 8 მარტს დანიშნულ სახელოსნო და სამრეწველო სასწავლებლების დირექტორებისა და გამგეთა კრებას. ბ-ნს დანილოვს მიეცა ამ მოგზაურობისათვის 200 მანათი. ტფილისიდგან ბ-ნი დანილოვი წავა ხუთშაბათს, 26 თებერვალს.

⁂ კავკავის ქალაქის გამგეობას შუამდგომლობა დაუწყია გზათა სამინისტროს წინაშე, რომ თუ კავკასიის მთა-გრეხილზედ რკინის გზის ლიანდაგს გაიყვანენ, კავკავს ნუ აალედენო.

⁂ მე-39 ქვეითა დივიზიის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი თვ. ამილახვარი შეუდგა დროებით არმიის კორპუსის უფროსის თანამდებობის აღსრულებას.

⁂ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა შემდეგი ადგილები, იცნო ფილოქსერით დაავადებული, სახელდობრ ქუთაისის გუბ.—ქუთაისისა, შორაპნისა, სენაკისა, ზუგდიდისა' ოზურგეთისა და ლეჩხუმის მაზრები; ამას გარდა რაჭის მაზრის სოფ. ცახი, ბაჯი და სადმელი; ტფილისის გუბ. გორის მაზრის სურამის ნაწილის შემდეგი სოფლები: ალი, ქინძათი, დუმაცხო, ოძისი, ცივი-წყარო და სხვა, ცხინვალის ნაწილში—სოფ. ხეითი, წუნარი და ცხინვალი, ბორჯომის ნაწილში—სოფ. კურტანეთი, ქვიშხეთი, ბერის-საყდარი, ტაშის კარი და ბულბულის ციხე. ამას გარდა ფილოქსერა გავრცელებული ყოფილა ყუბანის ოლქისა და სტავროპოლის გუბერნიის ზოგიერთ ადგილას. ამ გვარად კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ადგილებიდგან ყოველ გვარ ვაზისა, ხეხილისა, მცენარეულობისა და ბალახეულობის გატანა ხორბლეულსა და გამხმარ თამბაქოს ფურცლებს გარდა, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის 1886 წ. განკარგულების ძალით სასტიკად აღკრძალულია. ამას გარდა, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა საჭიროდ იცნო აღკრძალოს ტფილისის გუბერნიის, გორის მაზრის ყველა ადგილებიდგან ვაზის ყლორტებისა და წალმის გატანა და აგრეთვე ყუბანის ოლქიდგან შავის ზღვის პირის გუბერნიაში ყოველგვარ ვაზის გადატანა.

⁂ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრმა თავ. დ. ე. ჩოლაყაშვილმა სთხოვა ხსენებულ საზოგადოებას, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის წინაშე მიშუამდგომლეთ, რომ ჩემს მამულში, რომელიც სიღნაღის მაზრაშია, გამოჰგზავნოს მეურნეობის მცოდნე ინსტრუქტორიო. თავ. ჩოლაყაშვილი ჰკისრულობს ინსტრუქტორისათვის საჭირო მასალისა, მუშებისა და მამულის შოვნას. თავადის მამული სიღნაღის მაზრის შუაგულსაა და ამ მაზრის მცხოვრებლები მებაღეობასა, მეფუტკრეობასა, საქონლის მოვლა-მოშენებასა და სხვ. მისდევენ. ინსტრუქტორ აგრონომმა უნდა ხელი შეუწყოს მეურნეობის გავრცელებასა და მამულის ჯეროვანის წეს-რიგით შემუშავების საქმეს.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ გადასწყვიტა „ჩაქვა“-სა და „ქობულეთის“ სადგურებს შუა ბაქანი გამართონ სახალხო მატარებლების გასაჩერებლად.

⁂ ცნობილი მემუსიკე ნ. ფ. კნინა დანიშნულ იქმნა წმ. ნინოს სასწავლებლის მუსიკის მასწავლებლად.

⁂ გაზ. „კავკაზს“ პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ 19 დეკემბერს უნდა შემდგარიყო პირველი კრება უმაღლესად დამტკიცებულის იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო გლეხების ადგილ-მამულის გამოკვლევა. ამ კომისიის თავმჯდომარედ არის მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი, წევრებად—მთავარ-გამგეობათა წარმომადგენელნი, ხოლო კავკასიის წარმომადგენლებად—ი. ვ. მიცკევიჩი და ი. ს. მედვედევი.

⁂ საგუბერნიო სახაზინო პალატებმა, გაზ. „ტფ. ფურ.“-ს სიტყვით ფინანსთა სამინისტროსაგან ბრძანება მიიღეს, რომ სრულიად მოსპეთ ხაზინებში მანეთიანებისა და ხუთ-მანეთიანების ქაღალდის ფულის გაცემაო და, რამდენადაც-კი

---

მეფე გიორგი იგ-ს საფლავსაც რუსული წარწერა აქვს შემდეგის შინაარსისა: „აქა განისვენებს მეფე გიორგი, დაბადებული 1750 წელსა, რომელიც ავიდა საქართველოს ტახტზედ 1798 წელსა, თავის ქვეშევრდომთა საკეთილდღეოდ 1799 წელსა დაუთმო საქართველო რუსეთის იმპერიას და მიიცვალა 1800 წელსა, რათა ახსოვდეს შთამომავლობას ესე მეფე, მათის იმპერატორობითის უდიდებულესობის ალექსანდრე პირველის სახელით საქართველოს მთავარ სარდალმა მარკიზ პაულუჩჩმა აღაგო ძეგლი ესე 1812 წელსა“.

შესანიშნავია აგრეთვე მარმარილოს ქვა ხუცურის წარწერით და ბოლოში თათრულად: „ჟამსა $^{o}_{o}$ მას $^{o}_{o}$ ოდეს $^{o}_{o}$ ჩვენს სამკვიდროს სახელმწიფოში გაბატონდა მეფის შანავაზის შვილი გიორგი ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა „ე“ (5), უხრწნელმან სოფელმან მოგვივლინა სიკვდილის სასმისი და მიგვცვალა თვალთა ჩვენთაგან თანამეცხედრე ჩვენი დედოფალი თამარ და დაუშთით მწუხარებასა შინა. მივიღეთ საფლავსა ჩვენსა და განვაშვენით მარმარილო ესე ლუსკუმსა ზედა. ვინც წაიკითხვიდეს, შენდობას ჰყოფდით. უკეთუ ვინმე მძლავრებით ანუ უძლებებით მეფემან ანუ დიდებულმან ეს მოშალოს ან ეს საფლავი გახსნას, ჩვენთა ცოდვათათვის იგიმც განიკითხვის დღესა მას დიდსა განკითხვისასა. ადამ აქეთ ზ:.ათას (7000) ი:. (100) იბ:. (12) ქორონიკონსა ტობ.“ *)

*) ძველებურ ნაწერთ სასვენებელი ნიშნები აქვთ (.), (:), (:.) და (0), რომელიც მე მარტო რამდენიმე სიტყვას დაუსვი თავში, დედანში-კი მთელს ტექსტსა აქვს ბოლომდის.

იქვე არის დიდი მარმარილოს ქვა, რომელზედაც ლექსით სწერია შემდეგი: „ღოცვამან ანნა:.

მიწითნო წერით გეტყვი მიწა მე უტყვი:.
სძლად მაგი მაგმან მტილსა სადავითოსა:.
მითნო თანხორცად ირაკლი მეფე პანკრატით:.
ოთხწელ საშროშნოდ ყიცვნა დედუფლობამან:.
ათცხრამეტ წლისა დამწიხლა ძვალთ გამშიშვლელმან
დავყვავილონდი ვარდი მეცა სიტყვითი:.
ცხედარსა ზედა სოლომონითურთ:.
ვრცელ დალიჰ მკობა სიჩჩო ახლადობა:.
არ ემოწყალა უწყალსა მცა მიწა მიწას:.
ორად განმწვლა, მოაკლო, მცვალა გლახაკად:.
მომსხლა მყის მყისად მკვლელობისა მთენამან:.
აჰ მირონთა წუთხნი ემონაცვალნენ:.
ცვლილ მარგალიტნი შავთა ჰიქათა ბნელად:.
ესრედ მოსლვია, მომწყლა ხატი მბადროსა:.
გადამაკვეთა მტვერსა შერთული მტვერი:.

ქ:. უხმოთა ღმობითა გექენებით ყოველთა და მჳვრეტელთა შენდობისა ყოფად არა რაი ესე, რომელი ოდესმე ვიცვ ანნა ასული აბაშის ძისა, ხოლო სძალი ქართველთა მეფისა ცხებულის თეიმურაზისა და სატრფო ფერცხალი ირაკლი კახთა მეფისა, არამედ ჩემთვის დიდება ესე ყოველივე აქა დაშრტა, დეკემბერსა „ვ“ (6) ქრისტეს აქათ ჩღმთ (1749).

სადიაკვნოს წინ დიდი საფლავის ქვაა $3^{1}/_{2}$ არშინის სიგძით და 2 არშინ სიგანით შემდეგის წარწერით: „ქრისტეს აქეთ ხთას ექვსას სამოცდა ცხრასა ქორონიკონსა (ტნიდ), ჩვენ დავით სოლომონის ტომნი ძმა მეფისა სახელ აღმატებითისა ქებულისა გახტანგისა და ძისა მათისა გახთა მეფისა არჩილის კათალიკოზი დომენტი ერთგული ქრისტესი განკაცებისა განვედ დაუგრომელისა სოფლისა ამისა და მდებარე არს გვამი ჩემი აქა. ჩვენცა ვიყვენით მსგავსნი თქვენნი და აწ ესე ვიქმენით ღვთისა გულისათვის შენდობით მოგვიხსენებდეთ და ღმერთმან თქვენცა შეგინდნეს. მეფობასა მეფეთ მეფისა ძმისწულისა ჩვენისა გიორგისა აღიწერნეს ესე“.

გარდა ამისა სვეტი-ცხოველში არის საფლავებიც, რომლებშიაც განისვენებენ ერეკლეს ძის ვახტანგის მეუღლე მარიამი; მეფის ერეკლეს ძის სულთანის ასული თამარ, საქართველოს მეფის ერეკლე მეორის ასული თეკლა; დედოფალი მარიამ, მეუღლე მეფის გიორგი მე-XIII-სა; მეფის გიორგი XIII-ს ასული თამარ; უფლის წული პეტრე ილიას ძე; ძის ძე მეფის გიორგი იგ-სა, მოკლული ყარსის აღების დროს; დიმიტრი ილიას ძე, შვილის შვილი მეფის გიორგი იგ-სა, აგრეთვე მოკლული ბრძოლაში მთის ხალხთან ომის დროს; კნეინა ბარბარე, ასული ხელმწიფის შვილის ბაგრატისა; ამავე ბაგრატის ვაჟიშვილი ალექსანდრე; უკანასკნელის შვილი ილია, მესამე თაობისა მეფე გიორგიდგან; ნინო, მეუღლე ივანე კონსტანტინეს ძის ბაგრატიონ-მუხრანსკისა; ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი; გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი, კნეინა მარიამ მეუღლე გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანსკისა; სარდალ სალთ-ხუცი თავადი მუხრან-ბატონი გრიგოლ იოანნეს ძე; სალთ-უხუცესი კონსტანტინე მუხრან-ბატონი; მეუღლე მუხრან ბატონისა სარდალ სალთ-უხუცისა კონსტანტინესი ბარბარე (1790 წ.), მეფე ერეკლეს II-ს შვილი-შვილი ერეკლე ალექსანდრეს ძე.

მუხრან-ბატონების საფლავებში შესანიშნავია სამი წარწერა: „მაღალის და აღმატებულის ღვთივ გვირგვინოსანის მეფეთ მეფის შანავაზ წოდებულის ძმის ბატონიშვილის მუხრან ბატონის კონსტანტინეს ძეს საქართველოს სალთუხუცესს ბატონიშვილს მუხრან ბატონს პაპუას გვესვა მეუღლედ თანა. მიგვცვალა ამიერ სოფლიდგან ჩღდ. წ. († 1704).

„მაღალის ხელმწიფის მეფეთ მეფის შანავაზის ძმა ბატონისშვილი მუხრანის ბატონი კონსტანტინე, ქრისტეს აქეთ ჩქნიზ წელსა. († 1667 წ.)“.

„სიით მიზეზმან მომიდო მიწა ცხოველად მუნვე მიქცევა მესაჯა ბუნებისა ადამისსა, აჰა აღესრულნეს დღენი ჩემნი და იქმნის კვალნი ცხოვრებისა ჩემისანი უჩინონი, ვითარცა კვალი ნავსა და მსგავსება აჩრდილისა თქვენთან თანა წარმავალთა და მჭვრეტელთა დამფარველისა ლოდისა მეტყველთა მოგეთხრასთ ტომობა ჩემი ბაგრატიონთა სირათა შთამომავალი მე მუხრანის ბატონისა სარდალ სალთუხუცესისა კონსტანტინესი მუხრან-ბატონი სარდალ სალთუხუცესი და ერვნის გუბერნატორი იოანე მოვაკვდი თქვენთანა ყოფასა, ზრახვასა და სიცოცხლესა. დაითხია დიდება ჩემი საუკუნოდ, წარხდა სახელი და ახოვნება ჩემი და ვითარცა სიზმარი განილია სიცოცხლე ჩემი, ჭუნესა ზედა მჯდომარესა მდევრობასა შინა მტერთა ქრისტესთა და მამულისა ჩვენისა მაოხრებელთა ლეკთასა. მწარისა განსაცდელისა და კვეთებისა მეწია მსწრაფლი ანაზდათ. მახვილი (ნამგალი) სიკვდილისა და მეისვე დამაშჩვნო ყვავილი სიჭაბუკისა ჩემისანი ხორშაკმან სიკვდილისამან და ახოვნება ჩემი დამიკვეთა ქვეყანად და სახე ჩემი ამან მიწამან განმრყვნელმან სახისა და ტანისა ჩემისამან დაარღვია და დაადუმნა საუკუნოდ ბაგენი ჩემნი, ვაიმე დაუტევე თანსხორცი და ფერცხალი ჩემი სრულიად საქართველოს მეფის ირაკლის მეორის ასული ქეთევან მწარესა გოდებასა და ტირილსა საუკუნოდ და სასურველნი ხუთნი ძენი და ასული ჩემი მწუხარებასა და ობლად მყოფობასა შინა და მომკლო უჟამოდ მუხთალმან ამან სოფელმან მათთანა შვებასა და სიხარულსა, არა შეიწყალა სიჭაბუკენი ჩვენნი და არცა მიხედნა ჩვენსა მეუღლეობასა და მშობლიურსა ტრფიალებასა. გევედრები აღმომკითხველთა ღმობით ოხანი მაგეთ. წლისა 44“.

ამ სამსავე საფლავს მარმარილოს ქვები აძევს.

ამითი ვათავებთ სვეტი-ცხოვლის აღწერას, მხოლოდ ეს-ღა მაქვს დასამატებელი, რომ აი ეს ესეთი ძვირფასი ტაძარი და შენობა, არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელის საქრისტიანოსთვის, დღეს დიდს გაჭირვებასა და დავიწყებაშია ჩავარდნილი. მაღლიდგან წვიმა ჩამოდის რამდენისამე ადგილიდგან და თან შენობაც იქცევა. ნუ თუ ღირსი არ არის იგი, რომ ქართველმა ერმა მიჰხედოს ამ წმიდასა და დიდებულს ქართველთა იერუსალიმს და მისდა შესაკეთებლადა და გასამშვენიერებლად მცირეოდენი წვლილი გამოიღოს?!.

შესაძლებელია, შეამცირეთ სამ-მანეთიანისა და ათ-მანეთიანების ქაღალდის ფულის გაცემაო.

*** სოფ. ნატოხაო (სენაკის მაზრა). ეს რამდენიმე თვეა, რაც ცოტად თუ ბევრად მოსვენებულნი ვიყავით ქურდობისა და ავ-კაცობისაგან, მაგრამ ეხლა კი ლამის ეს ჩვენი მყუდროება დაირღვეს. ქურდ-ბაცაცებმა, ისევ მიჰყვეს ქურდობას ხელი. ეხლა იპარავენ შინაურს, ოთხფეხ საქონელს. 12 ამ თვეს ერთს აქაურს მცხოვრებს ბიტუ სოსელიას სანაქებო უღელი ხარი მოჰპარეს. თუმცაღა სოსელიამ დროზედ შეიტყო ეს ამბავი და ყვირილით გამოუდგა კიდეც ქურდებს, მაგრამ ქურდებმა კინაღამ მოკლეს ტყვიით. კვირკველიასაც ცალი ხარი მოჰპარეს და ერთს რკინის გზის დარაჯსაც— ცალი ხარი. თუმცა ყველანი დაეძებენ დაკარგულს, მაგრამ ჯერ ჯერობით ვერ აღმოუჩენიათ...

ამას წინად ჩვენს სოფელში ყვავილი იყო, მაგრამ ღვთით მოისპო და ეხლა სულ არ არის. მხოლოდ ხანგრძლივმა ზამთარმა, რომლის ჩვეულნი არ ვიყავით, ძრიელ შეგვაწუხა. შეშა ჩვენ არა გვაქვს და არც საქონლისათვის საკვები მოგვეპოვება.

*** სოფ. კულაში. (ქუთაისის მაზრა). ამ დღეებში აქ შემდეგი სიმხეცე ჩაიდინა სოფლის მოსამართლემ ლუკა ნინუამ. ადგილობრივი მღვდელი სასაფლაოსკენ მიასვენებდა ახლად გარდაცვალებულს მოსწავლე ყმაწვილს, უცებ მღვდელს დაუხვდა წინ ლ. ნინუა რევოლვერით და შემოუტია, ჩამომეცალე გზიდგან, თორემ ამ წუთში სულს გაგაყრეინებო. შეშინებული მღვდელი ჩამოეცალა თუ არა, გამხეცებული ნინუა მივარდა პატარა მოსწავლეთ, რომელთაც ხელით მიჰქონდათ ამხანაგის კუბო, ხელიდგან გააგდებინა და რევოლვერი დაახალა მიცვალებულს. ამ დროს ისედაც შეწუხებული მშობელ-ნათესაობა მიცვალებულისა მივარდა ყმაწვილის კუბოს, მაგრამ ნინუამ იძრო ხანჯალი, დაერია ქირისუფლებს და აქეთ-იქით გაჰყანტა. შემდეგ თითონაც მიიმალა. მიცვალებული კუბოიანათ ღამის 3 საათამდის იდო იქ, სადაც გამხეცებულმა ნინუამ რევოლვერი დაახალა. 3 საათზედ ჩამოვიდა აქ ბლაღოჩინ-მღვდელი და ბოქაული ყაზახებით, შეატყობინეს მიცვალებულის მშობელ-ნათესავებსა, მეზობლებს, ადგილობრივ მღვდელსა, სოფლის მამასახლისს და წაიღეს მიცვალებული სასაფლაოზედ დასაკრძალავად. დამნაშვეც დააპატიმრეს და ოქმი შეუდგინეს. ძნელია კაცმა გამოიცნოს, რამ გაახედვინა ლუკა ნინუას ასეთი საზიზღარი და სამარცხვინო საქმის ჩადენა („ნ. ო.“).

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის ქუთაისის სადგურზედ 10 თებერვალს ვიღასაც გაუხსნია 3 თევზით სავსე ყუთი და თევზი წაუღია. ეჭვი სად. რიონის რკინის გზის მუშებზედ მიიტანეს და მართლაც ამ მუშებს 3 ფუთი ნაქურდალი თევზი აღმოაჩნდათ. გამოძიება სწარმოებს.

*** კალიუჩი ბალკის მცხოვრებელის ზომბერგის მდგმურმა ქვრივმა ნინა დონჯაშვილმა 60 წლისამ, კარბოლის სიმჟავე დალია. დონჯაშვილი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს, რომელსაც ჯერ ჯერობით არა უშავს-რა.

*** 18 თებერვალს ნაშუადღევის 5 საათზედ მე-9 ნაწილის ბოქაულს ტფილისის მცხოვრებელმა ანნა პივნიცკაიამ გამოუცხადა, რომ ვიღაც ბოროტ-მოქმედმა სახლიდგან, როდესაც მე სახლში არ ვიყავი, მომპარა ორი ბალიში, 18 არშინი მატყლის ნაქსოვი, სამი კაბა და სხვა, სულ 65 მანეთისაო. პოლიციამ ტფილისის მცხოვრებელი გრიგოლი კარალკოვი და მოსკოვის მაზრის სოფ. მიხაილოვკას მცხოვრებელი იაკობ ბარსკი შეიპყრო და გამომძიებელს გადასცა.

*** გაზ. „მშაკს“ განჯიდგანა სწერენ, რომ ადგილობრივმა გუბერნატორმა გენ. კირეევმა ლაპარაკი აღძრა დედათა გიმნაზიის დაარსების შესახებ ქ. განჯაშიო. რამდენმამე მოქალაქემ დახმარება აღუთქვა მომავალ დედათა გიმნაზიას და უკვე ბ-ნმა მ. ნაზაროვმა გადასდო ამ საქმისთვის 1,000 მან.

*** კვირას, 22 თებერვალს, „ტფილ. არტისტთა საზოგადოების“ დარბაზში გამართულ იქმნა წარმოდგენა ქალაქის სასწავლებლების ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

*** ტფილისის სამკურნალო გამგეობამ გადასწყვიტა სოფ. ბარალეთის სასოფლო ქსენონი ახალციხის მაზრის უფრო შუაგულ ადგილას იქმნას გადატანილი.

*** გორის მაზრაში მცხოვრებს 60 კომლს დუხაბორს ნება მიეცა დასახლდნენ ისევ ახალქალაქის მაზრასა და იმ სოფლებში, სადაც წინად სცხოვრობდნენ.

## ქალაქის საბჭო.

18 თებერვალი

ამ კრებაზედ პირველად თავმჯდომარეობდა ქალაქის ახალი მოურავი ბ-ნი გ. გ. ევანგულოვი.

წინანდელ კრების ოქმის წაკითხვის შემდეგ ახალმა მოურავმა შემდეგის სიტყვით მიჰმართა საბჭოს:

„ვიდრე მორიგ საქმეების განხილვას შევუდგებოდეთ, მე მსურს ვსთქვა ორიოდე სიტყვა. ბევრი ლაპარაკი არ დამჭირდება, რადგანაც ჩვენ დიდი ხანია ერთ საქმეს ვემსახურებით და ერთმანეთს კარგად ვიცნობთ. უპირველესს ყოვლისა, ვიტყვი, რომ თვით-მმართველობის მინიჭება ქალაქის მკვიდრთათვის განსაკუთრებული წყალობა იყო და ეს-კი იმასა ნიშნავს, რომ ქალაქს თვით შეუძლიან იზრუნოს თავისის თავისთვის, თვით განაგოს თავისი საქმეები. თვით-მმართველობა ასრულებს სახელმწიფო საქმეების ერთს ნაწილს. საკმარისია მოვიგონოთ ის, რაც თვით-მმართველობასა აქვს ჩაბარებული საზრუნავად, როგორც მაგალითად ხალხის საზრდოს მხრივ უზრუნველყოფისთვის ზრუნვა, მოზარდის თაობის აღზრდა-განათლება, ქალაქის განათება, სუფთად შენახვა და მრავალი სხვა, რომ დავინახოთ რა დიდი უფლებანი აქვს ქალაქს მინიჭებული. ქალაქს აქვს უფლება გამოსცეს ხოლმე სავალდებულო დადგენილებანი. ქალაქის თვითმმართველობის ზედამხედველი გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოა, რომელსაც შეადგენენ გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, ორი წევრი და საბჭოს ორი წარმომადგენელი. ყველა ამას იმიტომ ვამბობ, რომ საჭიროა ვიცოდეთ ჩვენი უფლებანი, რომ დავიცვათ და შევინახოთ. დღემდის ჩვენი ქალაქის თვითმმართველობა პირ ნათლად და სინიდისიერად ასრულებდა თავისს მოვალეობას. მე აქ სულ მოკლედ მოვიხსენიებ იმას, რაც წინანდელ მოურავებს გაუკეთებიათ. განსვენებულმა იზმაილოვმა ვერ მოასწრო იმის გაკეთება, რ ს გაკეთებაც იმას შეეძლო და რის უნარიც ღმერთს იმისთვის მიეცა. ადრე გარდაიცვალა. თავ. არღუთინსკი — დოლგორუკი ერთგულად იცავდა ქალაქის უფლებათ და თავისის უანგარო და დაუღალავის მოღვაწეობით საყოველთაო სიყვარული და მადლობა დაიმსახურა. განსაკუთრებით მან ბევრი შრომა გასწია და თავი არ დაიზოგა ხორველობის დროს, როდესაც ეს საშინელი სენი სხვაგან მძვინვარებდა და ჩვენ ქალაქს-კი, იმის წყალობით, თითქმის არც-კი მიჰკარებია. მატინოვის მოღვაწეობა თორმეტის წლის განმავლობაში, რაც ხანი ის მოურავად იყო, ყველას თვალ წინ გვიდგა. თითქმის რაც რამ თვალ-საჩინო და შესანიშნავი გაკეთებულა, როგორც, მაგალითად წყლის მილის გამოყვანა და მრავალი სხვა, სულ იმის მოურავობის დროს გაკეთდა. ყოფიანი ყოვლად პატიოსანი და მიუდგომელი კაცი იყო და იმანაც ბევრი გააკეთა ქალაქისთვის. ხოლო რაც შეეხება თავად თუმანოვს, საკმარისია მოვიგონოთ სახელოსნო სკოლა, რომელიც იმან დაგვიტოვა. ყველა ეს იმიტომ ჩამოვთვალე, რომ ჩვენი თვით მართველობა ბევრჯელ გაუკიცხავთ, არასფერს აკეთებსო. კრიტიკა, რასაკვირველია, საჭიროა და ძალიან სასტიკი კრიტიკაც, მაგრამ უსაბუთოდ გაკიცხვა სასურველი არ არის. აწინდელი საბჭო მეტად გვარიანად არის შემდგარი. 54 ხმოსანს უმაღლესი სწავლა აქვს მიღებული, დანარჩენთ—ზოგს საშუალო და ზოგიც ვაჭრობა-მრეწველობის საქმეში დახელოვნებული და გამოცდილია. ამიტომ, ვგონებ, რომ ჩვენც გავაკეთებთ რასმეს და მოუტანთ ქალაქს სარგებლობას. ამით ვასრულებ. მადლობას ვუცხადებ იმათ, ვინც მოურავად ამომირჩია და იმედი მაქვს, რომ ჩემს მოვალეობას პირ-ნათლად ავასრულებ და გავამართლებ ამომრჩეველთა იმედს“. (ქანდარიდგან ტაშის ცემა მოისმა).

შემდეგ ქალაქის მოურავმა წაიკითხა ქალაქის გამგეობის წინადადება იმის შესახებ, თუ როგორა სცეს პატივი ქალაქმა საქართველოს მეფის ირაკლი მე-II-ის ხსენებას მისის გვამის დაკრძალვის ასის წლის შესრულების გამო, 22 თებერვალს. ეს წინადადება გუშინ ჩვენ დაბეჭდილი გვქონდა. საბჭომ ერთხმად მიიღო გამგეობის წინადადება და ამის გარდა აირჩია დეპუტაცია მცხეთაში პანაშვიდზედ დასასწრებლად. დეპუტაციის წევრებად არჩეულ იქმნენ: თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკი, თავ. ა. ი. ბებუთოვი, ა. ა. იოანესიანი, ნ. ნ. ოსტროგორსკი და მ. ი. თამამშოვი.

შემდეგ ხანგრძლივი ლაპარაკი გამოიწვია იმ საგანმა, თუ რა გვარად უნდა დაიფაროს ამ მიმდინარე წლის დეფიციტი, რომელიც 96,482 მანათს შეადგენს. როგორც გუშინ უკვე გვქონდა მოხსენებული, შეერთებულმა კრებამ გამგეობისა და საფინანსო კომისიისამ გადასწყვიტა ამ დეფიციტის დასაფარავად მოუმატოს მამულების დაფასების გადასახადს $^1/_8\%$, რაიცა 50,592 მან. შეადგენს, 27,844 მანეთი დარჩენილი გარდასახადი მოკრიფოს და რაც დააკლდება, ის ზოგიერთის წვრილმანის გადადებულის ხარჯის გაუქმებით შეავსოს.

საბჭომ გამგეობის მოსხენების ზოგიერთი წინადადება არ შეიწყნარა. უარ-ჰყო, რომ მამულების დაფასების გადასახადს $^1/_8\%$ მოემატოს და კენჭის ყრით 27 ხმის უმეტესობით 20 ხმის წინააღმდეგ დაადგინა, რომ ამ გადასახადს მხოლოდ $^1/_{16}\%$ მიემატოს. გარდა ამისა დაადგინა, რომ ავჭალის წყლის მილისათვის მანქანების შესაძენად ხარჯთ-აღრიცხვით გადადებულ 55 ათასი მანეთიდგან წელს მხოლოდ 12 ათასი მანეთი დახარჯოს და ხარჯთ-აღრიცხვაშიაც ეს შეიტანოს. ამ რიგად აქედგანაც 43 ათასი მოაკლდება. დანარჩენი დანაკლისი საბჭოს დადგენილებით შევსებულ იქმნება დარჩენილის გადასახადით და ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილის ზოგიერთის წვრილმანის ხარჯის გაუქმებით.

კრება 12 საათზედ დაიშალა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. ხელთუბანი** (გორის მაზრა), 10 თებერვალი. ყველიერი დადგა და ჩვენს სოფელში-კი არაფერი ჩამი-ჩუმი არ არის: არ ისმის არც სიმღერა, არც დაირისა და ტაშის ტკაცა-ტკუცი, ხალხი თითქოს მგლოვიარეაო. ხანში შესული კაცები მწუხარებით თავს აქნევენ: გაილეწა, შვილო, ქვეყანა, კი აღარავის-რა აქვს და რით იქეიფონო. წინად ამ დროს რო ჩაგევლო შუა სოფელში, სამ-სამს დუქანში გახურებული სმა და ქეიფი ყოფილა და ჩალიჩი გახურებული. თუმცა სამი დუქანი იყოვო, იძახდა წინანდელი დუქნის მქონებელი, მაგრამ ჩემს წილად კიდევ ას თუმანს მოვიგებდი ხოლმეო. ეხლა-კი ერთი დუქანიღაა, მაგრამ ამისი პატრონიც უგუნებოდ დაიარება დუქნის კარებზედ და ამოლებს ჩიბუხსა, თან იქით-აქეთ იხედება, მოდის ვინმე, თუ არაო.

მართლაც და რა საქეიფოდა სცალიან ხალხსა. მოსავალი არ მოუვიდა არავისა, არც პურისა და არც ღვინისა. სხვაგან სადმე ასეთი ნაკლები მოსავალი რომ მოსულიყო, აქამდე ქვეყანას შეაჯერებდნენ, დავიმშენითო. ჩვენი ხალხი-კი მშიერია და ითმენს. იმავ შემოდგომიდგან ხალხის $^4/_5$-ს ლუკმა არა აქვს და აბა თუ სადმე გაგონილა ამათი დრტვინვა. ახალ „ფოშტის“ ფულს ვინა სჩივის, ძველი დარჩენილიც-კი ეხლა გადაახდევინეს.

შემოდგომა იყო, ჩაუდგა საქონელს ჭირი და ზოგს სულ გამოუხვრა ბოსლის კარი. ას ოცი სული მეტი მოკვდა. ღვთის მადლით ჯერ ჯერობით კი მოისპო. ექიმების ბრალი იყო, თუ ზამთრისა, ღმერთმა იცის.

მოუსავლობის ამბავი რომ ტყუილში არავინ ჩამომართვას, საბუთებს მოგახსენებთ: ჯერ შარშან გაზაფხულზედვე სოფელში ლუკმა მხოლოდ ცამეტს კომლსა ჰქონდა ას კომლში, დანარჩენნი სულ ყიდვითა და სესხით გამოდიოდნენ. სესხულობენ ასე: ერთს კოდს ისესხებს და კალოზედ უნდა კოდ ნახევარი მისცეს. წარმოიდგინეთ, რომ ახალი მოსავალიც სრულიად არ მოვიდა, ვისაც რამე მოუვიდა, ისიც მოვალეს მოუნდა და თესლიც ვეღარ დათესეს. თითო-ოროლა ღლის სიმინდი რომ არა ჰქონოდათ, შენი მტერი იყოს, საქმე იქმნებოდა. საკვირველია ჩვენი ქართველი ხალხი: რაც უნდა გაჭირვება ადგეს, სხვას ხელს არ გაუშვერს, გულს არ გაიტეხს, შიმშილით არავინ მომკვდარაო, გაიძახის გულადად.

სიკვდილი არ არის, ას კომლში ოთხმოც კომლს გაზაფხულამდე ლუკმა არ შეჰყვება! როცა აქვთ, მაშინაც მაძღრისად არა აქვთ. ახლა მივხედოთ სხვა ხალსა. უჭირს, თუ არ უჭირს, დაძრწიან სოფელ-სოფელ და დიდსა და პატარას თავი მოაბეზრეს. ლამის მადლი მატლად გვიქციონ. ვაძლევთ ამ გარდმოხვეწილებს, მაგრამ თან ლამის ისევ დავაყვედროთ. აღარც ღვინო მოგვდის. ამ ექვს წელიწადში, ნაცარმა, ობმა და შავმა სიდამპლემ უზედაშოდ გაგვიშო. ერთი არავინ არის, რომ უწამლოს თავისს ვენახს და მაგალითი უჩვენოს ხალხსა, თუმცა ხალხს სჯერა წამლობა და ერთმანეთს უამბობენ, თუ სადა ჰნახეს ნაწამლი ვენახები და რა ნაირად ემჩნეოდა წამლობაო. ჰნატრობენ, ნეტა იყოს ვინმე, რომ ჩვენც გვასწავლოს და ჩვენი მადლი მოისხასო.

საფილოქსერო დასების მოვალეობაა ვენახებს სოფელ-სოფელ უწამლონ ხოლმე და დაანახვონ თვალით გლეხებს წამლის გავლენა. თუ გლეხი არ დაუთმობს ვენახს, შესმენილებსაც ხომ მოეპოებათ ვენახები და, არა მგონია, კიდევ მადლობაც არ გადაუხადონ წამლობისათვის.

რ.

## წერილი პარიჟიდგან

ემილ ზოლა სასამართლოს წინაშე

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

(შემდეგი *)

შემდეგ წაკითხულ იქმნა ქ-ნ ბულანსისა და ყმაწვილის ქალის კომენჟის ჩვენებანი.

ქ-ნ ბულანსის წერილით შეეკითხნენ:

1, გაქვთ თუ არა ხელში ესტერგაზის წერილი?

ბულანსი. დიახ მაქვს! ამ წერილებით ჩემი თავი უნდა ვიმართლო და ამიტომ ძალიან მაგრად ვინახავ.

2, მიიღეთ თუ არა ამ ბოლოს ხანში ესტერგაზისაგან ორი დეპეშა და თუ მიიღეთ, ხომ არ გემუქრებოდათ ამ დეპეშებში?

ბულანსი. დიახ, მივიღე ორი დეპეშა, რომლებითაც ესტერგაზი 1881—1884 წლების წერილების დაბრუნებას მთხოვდა. დამუქრებით არ დამმუქრებია.

3, მაგ წერილებში ჯარისა და საფრანგეთის ცილისწამება ხომ არ არის?

ბულანსი. ეს წერილები ჯარში მყოფისათვის საკადრისი არ არის. მათში ბევრი რამაა ჯარისა და საფრანგეთის დამამცირებელი.

4, შემოსულა თუ არა თქვენთან ესტერგაზი ბატელონის ბულვარიდგან, ან კარანდაშით დაწერილი სადარბაზო ბარათი ხომ არ გამოუგზავნია თქვენთვის?

ბულანსი. სადარბაზო ბარათი არ გამოუგზავნია. თვით ესტერგაზი ოთხჯერ თუ ხუთხჯერ მოვიდა ჩემს სახლში, მაგრამ მე არც ერთხელ არ მიმიღია. ესტერგაზის უნდოდა

*) იხ. „ივერია“ № 36.

წაელო თავისი წერილები და დეპეშები. ამას გარდა, სხვა წერილებიცა მაქვს, რომლებშიაც ესტერგაზი მწერს: 1, გენერალი სოსიე მასხარაა და ჩვენში (ნემეცებ შორის) იმას ცირკში აჩვენებენ ხოლმეო; 2, თუ პრუსიელები ლიონამდის მოვიდნენ, შეუძლიანთ თოფები დასტოვონ და მარტო ჯოხებით გაირეკონ ფრანგებიო.

ქ-ნ კომენჯს შეეკითხნენ:

1, თქვენ იცოდით თუ არა, რომ პიკარის წერილებს თქვენს სახელს აწერდნენ?

კომენჯ. ვიცოდი.

2, როგორ გაიგეთ ეგ ამბავი?

კომენჯ. მაშინ გავიგე, როდესაც ესტერგაზის საქმის სასამართლოში გარჩევა დაიწყო.

3, თქვენ დაარქვით კაპიტან ლალემანდს სახელად „demi dieu“ (ნახევარ-ღმერთი)?

კომენჯ. დიახ, მე დავარქვი.

შემდეგ კითხვებზედ: „თქვენი საწინააღმდეგო ხომ არაფერი ჰქონდა ახალშენელს პატი დე-კლამს? კომანდანს პატი-დე-კლამს ჰქონდა თუ არა უსახელო წერილები? კომანდანს პატი-დე-კლამს უნდოდა თუ არა წერილების უკან დაბრუნება და ამისათვის ალიაქოთი ასტეხა თუ არა კურ-ლა-რეინზედ, ან გაურია თუ არა ამ საქმეში „ნიღაბ-ჩამოფარებული ქალიო“?—ქ-ნ დემანჟ მოეწერა: „პასუხს ვერ მოგცემთო“.

აქ საჭიროდ ვრაცხ დაუმატო შემდეგი: ამბობენ, თუმცა ნამდვილად არავინ იცის, ვითომ ესტერგაზის სამხედრო სასამართლოში უთქვამს, რომ იმ „ნიღაბ-ჩამოფარებულმა ქალმა“, რომელმაც ვითომ რაღაც პაკეტი მოიტანა, გადასცა პატი-დე-კლამს ქ-ნ კომენჯის წერილები და არა საიდუმლო ბარათიო.

გამოიხმეს გენერალი პელიე.

განერალი პელიე. მე მინდა ზოგიერთი ის აზრი წარმოვსთქვა, რომლითაც საგენერალო შტაბი ხელმძღვანელობდა. ყველა ექსპერტები ლაპარაკობენ იმ ბორდეროს შესახებ, რომელიც გაზ. „Match“-ში იყო დაბეჭდილი. მართალია, ეგ ფოტოგრაფია ძალიან წააგავს ბორდეროს დედანს, მაგრამ ჯერ ერთი, ზოგიერთი წვრილმანის ფოტოგრაფით გადაღება არ შეიძლება, მეორე—ბორდეროს ნაწერი ძრიელ მკრთალია და ფოტოგრაფით იმის უშეცდომოთ გადაღება შეუძლებელია, ხოლო ექსპერტებს სამხედრო სასამართლოში საქმის გარჩევის დროს ბორდეროს დედანი ხელში ეჭირათ. გარდა ამისა ბორდეროში ისეთი სიტყვებია ნახმარი, რომელსაც ქვეითა ჯარის აფიცერი არასოდეს არ იხმარს. საიდგან ეცოდინებოდა ესტერგაზის, რომ შეიარაღების ახალი გეგმა მზადდება, რომ არტილერიაში ზოგიერთის ცვლილებების შემოღებას აპირებენ. ეს ცნობები ისეთ აფიცერს ეცოდინებოდა, რომელიც სამხედრო სამინისტროში მსახურებდა. არის ისეთი საგანიც, რომელიც სამინისტროს გარდა არავის ეცოდინებოდა, როგორც, მაგალითად, მადაგასკარში გასაგზავნად ჯარის მომზადება და განაწილება. ბევრი რამ სხვაც არის, რომელიც სამინისტროს საიდუმლოებას შეადგენს. დრეიფუსი სამინისტროში მსახურებდა, იმან ყველაფერი იცოდა, იმას ბევრი რამ ჰქონდა ხელთ. თქვენს წინაშე, ბატონო მოსამართლენო, სცდილობენ ჯარისა და იმის წინამძღოლების დამცირებას, იმათ დამნაშავედ გამოყვანას, მაგრამ გაჭირვების დროს შეიძლება ეგ დრო შორსაც არ იყოს,—თქვენის აზრით, ვინ უნდა გაუძღვეს თქვენს შვილს? განა შეიძლება, რომ ყაზბებმა წინამძღოლობა გაუწიონ მათ? როცა ასეთი დრო დადგება ზოლა ახალს ბრძოლას მოიგებს, მაშინ ის დასწერს ახალს „Debacle“-ს, რომ გაავრცელოს ფრანგული ენა ევროპაში, იმ ევროპაში, რომლიდგანაც საფრანგეთი გამორიცხული იქმნება. (საშინელი აღელვებაა დარბაზში) მეორე სამხედრო სასამართლომ დაამტკიცა, რომ საფრანგეთის ჯარში მეორე მოღალატე არ არის; სასამართლომ არ მოინდომა მართალი კაცის დასჯა (ტაშის ცემა).

ლაბორი. ეგ ხომ საგენერალო შტაბის დაცვაა! გენერალი პელიე დამცველი, ვექილი გამოდგა საგენერალო შტაბისა და არა მოწმე ზოლას საქმის გამო დაბარებული. გენერალ პელიეს ჰსურს შეგვაშინოს ომით. როდესაც საჭირო იქმნება, როდესაც სამშობლო განსაცდელში ჩავარდება და დაცვას მოითხოვს, მე დავემორჩილები გენერალ პელიეს როგორც ჯარის-კაცი. მართალია, მე ჯარის კაცზედ ცოტა სამხედრო ნიშნები მაქვს, მაგრამ ჩემი სისხლი სამშობლოსათვის იმაზედ ნაკლებ არ დაიღვრება. ახლა-კი ჩვენ სიმართლეს, ჭეშმარიტებას ვეძებთ.

თავმჯდომარე. ბ-ნო ლაბორი, საქმეზედ ილაპარაკეთ.

ლაბორი. როგორ! თუ კი გენერალ პელიეს შეუძლიან ამდენი ლაპარაკი, რატომ მე-კი აღარ შემიძლიან ვთქვა ორიოდე სიტყვა?

გენერალი პელიე. სამხედრო მინისტრს ერთი ბარათი ჩაუვარდა ხელში, რომლიდგანაც სჩანს, რომ დრეიფუსს დამოკიდებულება და ერთობა ჰქონია უცხო სახელმწიფოს კაცებთან.

გენერალი გონზი. მე ყველაფერში ვეთანხმები გენერალ პელიეს. ჯარს სიმართლისა არ ეშინიან. დრეიფუსმა ყველაფერი იცოდა იმისა, რაც ბიუროში ხდებოდა (ხმაურობაა).

ექსპერტები მორიოდი (შვეიცარელია), არტურ სირი, ერიგურტი, მაიერი აცხადებენ, რომ ჟურნალ „Matin“-ში გამოცხადებული ბორდეროს ნაწერი და ესტერგაზის ნაწერი ერთი და იგივეაო; ფოტოგრაფიის შემწეობით ხელთნაწერის გადაღება ძალიან კარგა შეიძლებაო.

გ.

(შემდეგი იქმნება)

---

## ნაკვესი

— არ ვიცი, ექიმო, რაღა ვჭამო? ერთმა ხორცეულობა აღმიკრძალა, მეორემ—ნამცხვარი და ფქვილ-ნარევი საჭმელი, მესამემ—მცენარეულობა.

— შეიძლება, მაგრამ მე თუ მკითხავთ, რძისა და მაწონის ჭამას, არამც და არამც არ გირჩევთ.

---

## გამოსადეგი ცნობა

შეღებილის ღვინის შეტყობა ძლიერ ადვილია. 15—20 წუთის განმავლობაში ღვინო ცოტათი შეათბეთ. ალკოგოლი გაჰქრება და როდესაც ღვინო ადუღდება, აიღეთ თეთრი მატყლის ქსოვილი, ჯერ წყალში დაასველეთ და მერე ამ ღვინოში ჩასდეთ. თუ ღვინო შეღებილია, ქსოვილიც ალის ფრად შეიღებება, თუ არა და, ფერს არ შეიცვლის.

---

## სია

სახელმწიფო ხარჯით მიღებულთა მოწაფეთა ტფილისის სასულიერო სემინარიაში

### მე-VI კლასი.

ასათიანი დავით, ანჯაფარიძე ნიკოლოოზი, ბურჯანაძე თადეოზ, ბიბილური ალექსანდრე, გოგრიჩიანი სერაფიონ, გორგაძე არჩილ, ჯაფარიძე ტრიფონ, ჯორბენაძე სიმონ, კვაჭაძე მიხეილ, კახაია იოსებ, კვიტაშვილი ავთანდილ, კობერიძე მიხეილ, კაციტაძე ილია, კალანდარიშვილი თეოფანე, ლაბაძე ვასილი, მეტრეველი ეგნატე, ნიკურაძე მიხეილ, ნიკოლეიშვილი ივან, პარკაძე გაბრიელ, პერტაია ისიდორე, თალაკვაძე ბესარიონ, ხუციაშვილი ლონგინ, ცინცაძე ირაკლი, ჩიხლაძე კირილე, ენუქიძე თეიმურაზი, იაბლონსკი ვლადიმირი.

### მე-V კლასი.

ალადაშვილი ალექსანდრე, ბერიძე ვიქტორი, ბარათაშვილი გერვასი, ვოზნესენსკი პავლე, გელაშვილი პარმენ, გულუა სიმონ, გოგიბერიძე ლეონტი, გამზარდია ონიფანტე, გრიგორიადისი პავლე, დალაქიშვილი ვარნავა, კობახიძე ივანე, ქოჩიაშვილი ვასილი, კოპლატაძე პეტრე, კალანდარიშვილი ეპიფანე, კასრაძე ივანე, მესხი სერგი, მაისურაძე ნიკოლოოზი, მაჭარაშვილი სერგი, მჭედლიშვილი სამსონი, პარასკევოვი მიხეილი, ფანჯაკიძე მიხეილი, უსეინაშვილი თომა, ჩიხლაძე ვლადიმირი, ჩახნაშვილი გიორგი, ჭანიშვილი გიორგი, შევარდნაძე იოსები.

### მე IV კლასი

ახმეტელაშვილი ივანე, ანდრიევსკი ივანე, ანტონენკო ივანე, არონიშიძე იაკინთე, აბესაძე გალაქტიონი, ანთაძე ალექსანდრე, ბაკურაძე პეტრე, ბარბაქაძე სიმონი, გლებოვსკი თეოდორე, გორდულაძე ვასილი, გვასალია მიხეილი, გოგიაშვილი კონდრატი, დევიძე ნესტორი, დეკანოზიშვილი ივანე, ჯუგაშვილი იოსები, ჯინჭველაშვილი ილია, ჯაფარიძე მიხეილი, ერქომაიშვილი გიორგი, ირემაშვილი იოსებ, ქორიძე ირაკლი, კუბალოვი ივანე, კეკელიძე კორნილი, კასრაძე ანტონი, კასრაძე ალექსანდრე, ლიაძე სამსონი, ლომჯარია გერასიმე, ლაფერიშვილი თეოფილაქტე, მოისრაფეიშვილი პიგასი, მახათაძე გრიგოლი, მხატვრიშვილი იასონი, მჟავანაძე ილია, მუჯირი იასონი, მაჭარაშვილი კონსტანტინე, მეგრელიშვილი თომა, ნოვიკოვი ალექსანდრე, ნატროშვილი სიმონი, ნახუცრიშვილი გრიგოლი, ნახუცრიშვილი გიორგი, ოჩიგავა ევგენი, ფანცხავა დიომიდე, რამიშვილი ყარამანი, სეფაშვილი რომანოზი, სოხაძე გიორგი, სხირტლაძე ეპიფანე, თხინვალელი ქრისტესია, თალაკვაძე პოლიკარპე, ხვადაგაძე ზაქარია, ხუროშვილი რომანოზი, ციბალაშვილი გიორგი, ცინცაძე თევდორე, ცინცაძე დავითი, ცაგარელი კონსტანტინე, ჩახნაშვილი გიორგი, ჩიკვინიძე მიხეილი, ჭანტურია ისიდორე, ჩეკურიშვილი ისააკი, ჩაჩუა საბა, შუბლაძე ილია.

### მე-III კლასი.

ახმეტელაშვილი ილია, ასაბოვი სამსონი, აბრამიშვილი აბრამი, გიგუტაშვილი გიორგი, კაპანაძე ილია, კანდელაკი ალექსანდრე, კოკიაშვილი ვლადიმირი, მენთეშაშვილი მიხეილი, მგელიაშვილი დავითი, მარკოზოვი მაქსიმე, ნაბიჭვრიშვილი ილია, უტურაშვილი გიორგი, შაპოვალოვი ვასილი.

### მე-II კლასი.

ღვინიაშვილი არჩილი, გარსიაშვილი პავლე, ივანოვი ილარიონი, კასრაძე გრიგოლი, ქსიმიდოვი გიორგი, ფილიშვილი ვასილი, ხუციშვილი დავითი, ხადური იოსები, წიკლაური ბესარიონი, შამანაური მიხეილი.

### I კლასი

ქარუმიძე დავითი, სალარიძე გიორგი, რაზმაძე გრიგოლი, ზახაროვი ალექსანდრე, ცაგარელი სიმონი.

სხვა და სხვა კაცთა და დაწესებულებათა სტიპენდიანტები.

ივანოვი ივანე მე-VI კლასისა, აგირბა ალექსი მე-V კლასისა, ბასიშვილი ვასილი მე-III კლასისა, კოძაშვილი ალექსანდრე მე-VI კლასისა, დოლიძე გიორგი მე-IV კლასისა, ხატის-კაცი ალექსი მე-II კლასისა, გლაგოლევი ივანე მე IV კლას. გოგიაშვილი პოლიკარპე მე-IV კლ.

შემდეგ მოსწავლეთ აღმოეჩინათ დახმარება

45 მან.

ვორონინს სერგი მე-IV კლ., კასრაძე ვლადიმირი მე-IV კლას. წიკლაური ბესარიონ მე-II კლ.

40 მან.

კვაჭაძე მიხეილ მე-VI კლ. კვაჭაძე ალექსი მე-VI კლას. ბერიძე ვიქტორი მე-V კლ. გულუა სიმონი მე-V კლ. ჯავახიშვილი გიორგი მე V კლ. კალანდარიშვილი ივანე მე-V კლ. კოპლატაძე პეტრე მე-V კლ. მაჩიტაძე კალისტრატე მე-V კლ. ხაბაზიშვილი ივანე მე-V კლ. ხახუტაშვილი გრიგოლი მე-V კლ. აბესაძე გალაქტიონი მე-IV კლ. ახმეტელაშვილი ივანე მე-IV კლ. კასრაძე ალექსანდრე მე-IV კლ. მეგრელიშვილი თომა მე-IV კლ. მჟავანაძე ილია მე IV კლ. ხვადაგაძე ზაქარია მე-IV კლ. ელიზბარიშვილი მიხეილი მე-IV კლ. რატიანი ვლადიმირი მე-IV კლ. ახმეტელაშვილი ილია მე-III კლ. მარკოზოვი მაქსიმე მე III კლ. უტურიშვილი გიორგი მე-III კლ. წინამძღვრიშვილი მიხეილი მე-III კლ. მენთეშაშვილი გიორგი მე-II კლ. მშველიძე გრიგოლი მე-II კლ. ფანჯაკიძე იოსებ მე-II კლ.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

19 თებერვალი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება შესახებ იმისა, რომ ფინანსთა სამინისტროში დაარსებულ იქმნას საგანგებო დაწესებულებანი სავაჭრო ზღვაოსნობისა.

პეტერბურგის ქალაქის მოურავს რატკოვროჟნოვს ებოძა დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკობა.

**პეტერბურგი.** 18 თებერვალს საბერძნეთის საელჩოს ეკკლესიაში გარნახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი საბერძნეთის მეფისა და ბატონიშვილის მარიამის გადარჩენისა გამო განსაცდელისაგან. პარაკლისს დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული და დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე.

**ათინა.** ბოროტ-მოქმედების მეორე ჩამდენი აღმოჩნდა მუშა, ჩრდილოეთ მაკედონიის მცხოვრები იოანნე გეორგისი, კარდიცის წლოვანებისა. სჩანს, მისი მოქმედება ამ კარდიცის შთაგონებით არის გამოწვეული. ეს მუშა გამოტყდა—კარდიცისთან ერთად ვმოქმედობდიო. ეს კაცი მშიშარაა, გულ-დახურული, სუსტი გონებისა. კარდიციმ დაარწმუნა, ამ ბოროტ-მოქმედებით სახელს გავითქვამთო. პოლიციამ სხვა დამნაშავენიც იპოვნა.

რამდენსამე გაზეთში დელიანისის გაკიცხვა იყო დაბეჭდილი იმის გამო. რომ კვირას გარდახდილ პარაკლისს არ დასწრებია. დელიანისმა განაცხადა პარაკლისზე არავინ მიმიწვიაო. მთელს საბერძნეთში მანიფესტაციები ხდება მეფის წინაშე უქვეშევრდომილესის გრძნობის დასამტკიცებლად. ადრესები ასობით მოდის.

**პრაგა.** სეიმი. კრების დაწყების დროს ობერლანდ მარშალმა განაცხადა, რომ კრების გათავების შემდეგ სეიმი უმაღლესის ბრძანებით, დათხოვნილ იქმნება.

**პარიჟი.** ასსიზის სასამართლოს წინაშე დაიწყეს იმის გარჩევა, თუ რა მონაწილეობა ჰქონია ნაკეს პანამის საქმეში.

სასამართლოს დარბაზი ცალიერია. ამ საქმეს ყურადღებას არავინ აქცევს. უკანასკნელად საქმის გარჩევის დროს, როდესაც რამდენიმე პარლამენტის მოღვაწე გაამართლეს, ნაკე ლონდონში იფარავდა თავს. საქმის გარჩევის დროს ახალი არაფერი აღმოჩენილა. ნაკე არტონს ძლიერა ლანძღავს და ამბობს, იმას ჩემთვის არავითარი ფული არ მოუციაო.

**ბერლინი.** რეიხსტაგის კომისიამ შეიწყნარა ლიმერის მიერ შესწორებული პროექტი ფლოტის შესახებ, რომლითაც რეიხსტაგი მოვალეა 1904 წლამდე გემებისათვის გადაიხადოს არ უმეტესი 471,200,000 მარკისა და ამის მიხედვით მოუმატოს ჩვეულებრივს გარდასახადს. ხოლო პროექტის ის ნაწილი, რომელიც ვერ განხორციელდება ამ ფულით, კომისიამ გადასდო 1904 წლამდე.

---


# განცხადებანი

ე. ფ. აუფერმანის

## მანქანათა საწყობი




ტფილისში

აცხადებს, რომ ბერლინის გ. ფ. ეკკერტის ქარხნისა და ოდესის ი. ი. გენის ქარხნის ფოლადის გუთნები ამ სეზონში გაიყიდება

ქალაქ სიღნაღში

ამირან სერგეის ძე შავერდოვთან შავერდოვის ქარვასლაში, ზემო ბაზარში. (10—39—1)

# ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებს სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარა და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერულობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი.

(წ.)

Т-во БРОКАРЪ и К°.

ИЗОБРѢТАТЕЛИ

ПАРФЮМЕРІИ

„Персидская сирень“

О-де-колонъ.

Духи. ❊ Мыло.




Просимъ остерегаться поддѣлокъ.

(11—მ—8)